

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონალური ოფისის განცხადება

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი - 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 25-30, შიდა-თიან რაიონებში - 20-30 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 24 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 758 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

კრიკოსი N იუსი

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა დუნია მიატოვიჩმა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის მოწვევით, თბილისის მე-2 საერთაშორისო კონფერენციაზე დასასწრებად ეწვია, ორბელიანების სასახლეში სალონებში ზურაბიშვილთან პირისპირ შეხვედრა გამართა. საუბარი შეეხო ადამიანის უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებულ ვითარებას, მოწვევადი ჯგუფების მიმართ სიძულვილის ენის, დისკრიმინაციის და ძალადობის პრევენციის საკითხებს. აღინიშნა, რომ მიუღებელია ძალადობის და დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმა.

ჭარის მნიშვნელობა და ზოგადად, ჩვენი სამაჟო ჭარის როლი ჩვენი საზოგადოების განვითარებაში ძალიან დიდია, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ახალი პროექტის - „ჭარის ბანაკის“ გახსნის დონისძიებაზე. „მომხიბლავია, რომ აუცილებელია ჩვენი ახალგაზრდების თავიდანვე, სკოლებიდან ჩართულობა, ის კი არა, ბაღებშიც უნდა შევიტანოთ სამხედრო სწავლება - ძალიან ბევრი საცდურია ჩვენი ახალგაზრდებისთვის, ამიტომ ახალგაზრდას სჭირდება თავიდანვე სწორი ორიენტაციის განსაზღვრა“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. როგორც მან აღნიშნა, სწორი ღირებულებების და ოჯახის ღირებულებების პოპულარიზაცია ბაღებიდან და სკოლებიდან უნდა დაიწყოს.

უკრაინის საქმეთა დროებითი რწმუნებული ოლექსანდრ შულგანსი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში იმყოფებოდა. შეხვედრაზე ავიაკომპანია „აიზენა“ - საქართველოს ავიახაზებისა და მისი მფლობელის სანქციების საშიშროების შესახებ განხილეს. ცნობისთვის, უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ 190 პირსა და 290 კომპანიას სანქციები ბირველ ივლისს დაუწესა, მათ შორის მოხვდნენ „გორჯიან ეარაის“ და თამაზ გაიაშვილი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების არჩევის წესის ცვლილებასთან დაკავშირებით ბარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო დასძლია. თავდაპირველად კენჭი პრეზიდენტის მიერ შეთავაზებულ კანონის პროექტს ეყარა, რომელსაც მხოლოდ 22 დეპუტატმა დაუჭირა მხარი. წინააღმდეგ ხმა ბარლამენტის 33-მა წევრმა მისცა. ამის შემდეგ კენჭისყრაზე ბარლამენტის მიერ სამი მოსმენით მიღებული და პრეზიდენტის მიერ ვეტოდადებული კანონპროექტი დადგა, რომელიც მმართველმა უმრავლესობამ 78-ხმით დაამტკიცა (14 წინააღმდეგ).

ბათუმში სიფრული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების მსოფლიო სტანდარტის პირველი სასწავლო ცენტრი გაიხსნება. ციფრულ ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნილი და წარმატებული კომპანია re:invent, თბილისის შემდეგ, ბათუმში საქმიანობით დაინტერესდა

ბათუმში მალე ინოვაციების, ციფრული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების მსოფლიო სტანდარტის პირველი სასწავლო ცენტრი გაიხსნება. ციფრულ ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნილი და წარმატებული კომპანია re:invent, თბილისის შემდეგ, ბათუმში საქმიანობით დაინტერესდა re:invent-ის პირველი გენერალური მენეჯერი ანა ბერიძის განცხადებით, კომპანია აჭარაში სრულიად ახალი კონცეფციის ცენტრს ქმნის. ციფრულ ინდუსტრიაში მსოფლიოს უახლესი მიღწევების გამოყენებით, კომპანია საქართველოში უპრეცედენტო პროექტს ახორციელებს. დაინტერესებული პირები ახლა უკვე ბათუმში არსებულ სივრცეში, ციფრული პროფესიების სფეროში ისეთ მოთხოვნი მიმართულებებს დაეუფლებიან, როგორცაა: ვებპროგრამირება, Full Stack დეველოპინგი, კიბერუსაფრთხოება და თამაშების შექმნა. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯანა ფუტყარაძე re:invent-ის დამფუძნებელს/აღმასრულებელ დირექტორ პავლე მგელაძეს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი აჭარაში ახალი ცენტრის ფუნქციონირებას და სტარტაპების ხელშეწყობას შეეხო. re:educate-ის და re:school-ის წარმატებულ



კურსდამთავრებულებს ბიზნესის დაწყების შესაძლებლობა re:invent-თან და მის პარტნიორ კომპანიებთან ერთად ექნებათ. ციფრული ტექნოლოგიების ახალი ცენტრი ფუნქციონირებას აჭარის მთავრობისა და კომპანია re:invent-ის ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში განახორციელებს. სივრცე ბათუმის ბიზნესინკუბატორში განთავსდება და აღნიშნულ სფეროში ცოდნის მიღებით დაინტერესებულ პირებს თავიანთ გამოცდილებას მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები გაუზიარებენ. კომპანიასა და ინკუბატორს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, სასწავლო ცენტრში ბათუმელი სტუდენტები და საჯარო სფეროში დასაქმებული პირები ციფრული ტექნოლოგიების სფეროში ცოდნას უსასყიდლოდ მიიღებენ. დაინტერესებული პირები re:school-ში ციფრული ტექნოლოგიების გარდა, ემოციურ ინტელექტს, ბიზნესის დაწყებას, ცხოვრების დაგეგმვას, ჯანსაღი ცხოვრების წესს ისწავლიან. თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შემდეგ კომპანია სასწავლო ცენტრს ყველა საჭირო, უახლესი ციფრული ტექნოლოგიით და ინვენტარით აღჭურავს, რის შემდეგაც პრაქტიკული სასწავლო პროცესი დაიწყება.

მუსიკალური საღაომ - შუახვამი	მალაღი დონის ტურნირი - ხაქვამი
«ჩვენ სამყაროს ბენიოსებს ვუზრდით და არ გვაქვს მოღუწების უფლება»	თინათინ ბერიძის მესამე რომანი, რომელსაც როგორც სიყვარულით წერს
ჩვენა გაიხილა: კალიან დიდხანს ვეკავდი განსაზღვრულ ტექსტების განსახილველად	ზაფხულის დაუძინებელი დღეები - ახალ სივრცეში

ISSN 2720-8702
9 772720 870003

გამოიწიეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სა-დისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დანართებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწიეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.



ერთიან ეროვნულ გამოცდაზე წელს რეკორდული რაოდენობის აბიტურიენტი გადის

ნაიღი ხმით 27 48 93

ეროვნული გამოცდები ქვეყნის მასშტაბით გუშინ, 3 ივლისს, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით დაიწყო და 26 ივლისს ფიზიკის გამოცდით დასრულდება.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის რეგისტრირებულია რეკორდული რაოდენობის - 45 000-ზე მეტი აბიტურიენტი. წელს, მთელი საქართველოს მასშტაბით, სულ 24 საგამოცდო ცენტრია გახსნილი. ცენტრები იფუნქციონირებს თბილისში, ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, ფოთში, ახალციხეში, გორში, ოზურგეთში, რუსთავში, თელავსა და ხულოში. წელს პირველად, საგამოცდო ცენტრი გაიხსნება ამბროლაურშიც. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი აცნობებს გამოსაცდელებს, რომ წელს აღარ მოქმედებს გამოცდებთან დაკავშირებული კოვიდრეგულაციები. სხვა ინფექციური დაავადებების მქონე პირების მსგავსად, კოვიდინფიცირებული გამოსაცდელები უნდა დაუკავშირდნენ ცენტრის ცხელ ხაზს ნომერზე (995 32) 2 47 33 33 და გამოცდის დაწყებამდე წარადგინონ შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაცია შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, რათა იმავე სესიაზე ჩაუტარდეთ გამოცდა სპეციალურად მოწყობილ საგამოცდო სექტორში. წელს სხვებთან ერთად ეროვნულ



ულ გამოცდებს 21 მსჯავრდებულს აბარებს. მათ შორის 1 არასრულწლოვანია. პენიტენციური დაწესებულებებიდან ერთიანი ეროვნული გამოცდების საგამოცდო ცენტრებში მათი გაყვანის პროცესი დაიწყო. პენიტენციური სამსახურის ინფორმაციით, მსჯავრდებულთა უმეტესი ნაწილი განათლების ხელმისაწვდომობა უწყვეტის პრიორიტეტია, ამ მიზნით კი პატიმართათვის ინფრაციური საგანმანათლებლო პროექტი «ციფრული უნივერსიტეტი» მოქმედებს. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე

თორნიკე რიჟვაძე თავის ფეისბუქგვერდიდან გამოემართა ამ დღეს და წარმატებები უსურვავა აბიტურიენტებს ცხოვრების ამ მნიშვნელოვან ეტაპზე. «მეგობრებო, რომ ჩვენი პროგრესული და ნიჭიერი ახალგაზრდობა მონაწილეობას არ დააკლებს და როგორც ეროვნული გამოცდების პერიოდს, ისე ცხოვრების ყველა ეტაპს ღირსეულად გაივლის. წარმატებებს ვუსურვებ აბიტურიენტებს, მათ ოჯახებს, პედაგოგებს და ყველას, ვინც წვლილი შეიტანა მათ განათლებასა და განვითარებაში. ჩვენი ხელისუფლება კვლავაც გააგრძელებს ახალგაზრდების ხელშეწყობას, განათლების ხელმისაწვდომობასა და თანამედროვე საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის შექმნას», - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

საინტერესო ფაქტი: ერთი აბიტურიენტი ეროვნულ გამოცდაზე ჯარისკაცის ფორმაში გამოიყვანილი გამოცხადდა მიზეზის ამგვარი ფორმულირებით: გამოცდაზე წარმატებლობის შემთხვევაში პირდაპირ სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად გაეშურება.

მუსიკალური საღამო-შუახევში

ოთარ გონაგოძე 599 85 21 14

საქართველოს მთავრობის ინიციატივით, მთელი ქვეყნის მასშტაბით მუსიკალური საღამოები იმართება. გამონაკლისი არც დაბა შუახევი იყო



დონისძიების დაწყებამდე კომენტარი ვთხოვეთ მის ორგანიზატორს ეკა კუპრეიშვილს: «მუსიკალური საღამოები აჭარაში ქობულეთიდან დაიწყო, ხელვაჩაურის შემდეგ, შუახევში ვართ. ამინდმაც ხელი შეგვიწყო. საჯარო, სახელ-

ოვნებო და მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლებში მიმდებარე ტერიტორიები (სვენას, ბანერებს, დროებით დადგმულ ჭიხურებს აქვთ დაკავებული. დამსწრეებიც საკმაოდ არიან. როგორც აქაურებმა თქვეს, შორეული ნაღვარებიდან, შუბნიდან, დღვანიდან ჩამოვიდნენ. ჩვენი მიზანია, მათ საინტერესო და შინაარსიანი საღამო ვაჩუქოთ». ადგილობრივ და მოწვეულ მეწარმეთა ნაკე-

- ლანჩხუთიდან ჩამოვიდნენ. აქ გამოფენა-გაყიდვაზე სხვადასხვა აქსესუარი მოვიტანე, რამდენიმე გოგონებსაც ვუსახსოვრე. შუახევში პირველად ვარ. ვიცი, აქ სოფელი ტაკიძეებია და ჩემი გვარის მატარებლებიც მრავლად სახლობენ. გილოცავთ ამ დაუფიქრად დღეს და წარმატებებს ვისურვებთ, - გვითხრა ხატია ტაკიძემ. მუსიკალური საღამო ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მსყურებელთა თეატრის სპექტაკლ «წითელქუდას» ჩვენებით დაიწყო. ბევრი დაინტერესდა ქეთი ხატიაშვილის ტანვარჯიშის აკადემიის მასტერკლასის ნახვით, სახის მოხატვით, საპნის ბუმბულის გაშვებით ... ერთი წელიც არა გასული, რაც შუახევში გოგონათა ბენდი «117» შეიქმნა, რომელიც მრავალფეროვანი რეპერტუარით წარსდგა საღამოზე. საღამო შუახევში დუეტ «ლეონის» გამოსვლით დასრულდა. - კმაყოფილი, ემოციებით დატვირთული ვტოვებ ღონისძიებას, - თქვა დღვანის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, პოეტმა ირმა კეკელიძემ, - ეს დღე უმეტესად აისახება ჩემს შემოქმედებაში. - ჩემთვის და ყველა შუახეველისთვის დაუფიქრებია ის საღამოები, რომელიც საქართველოს მთავრობის ინიციატივით, სახალწლოდ იმართება. მათ რიცხვს შეუერთდა შინაარსობრივად და სანახაობით დატვირთული «მუსიკალური საღამოები». მაღლობა ორგანიზატორებსა და მონაწილეებს, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ.

თობებს, კულინარიების ნახელავებს მხსხველი და მომხმარებელი არ აკლდა.

მაღალი დონის ტურნირი - სეკვებში

მანანა პიძიშვილი 598 24 94 97

ჩვენმა ქალაქმა სპორტულ ცენტრებში საერთაშორისო ტურნირის - «Batumi Open 2023» უმასპინძლა. ტურნირი ტრადიციულია და არაერთი წელია ტარდება. წელს ბათუმის ტურნირში მონაწილეობის მიხედვით 11 ქვეყნის წარმომადგენელი ჩამოვიდა. ასპარეზობა სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. შეჯიბრება როგორც ინდივიდუალურ, ისე წყვილებში ჩატარდა. გამარჯვებულებს და საპრიზო ადგილებზე გასულ მოცეკვავეებს თასები, მედლები და სიგელები გადაეც-



ათ. აჭარის სპორტული ცენტრების ფედერაციის პრეზიდენტის ნინო ქავჭავაძის თქმით, ტურნირი 15 წელია ტარდება. იგი არა მარტო ამიერკავკასიაშია ცნობილი, არამედ უკვე მსოფლიო ფედერაციის კალენდარშიცაა შეტანილი. - ძალიან კარგია, რომ ჩვენთან ამ დონის ტურნირი იმართება. ყველას არ აქვს ასეთ სპორტულ ფორუმში მონაწილეობის საშუალება. აქ ბევრი ქვეყნის საუკეთესო მოცეკვავეები ჩამოდიან და ჩვენი მოცეკვავეები ძალიან დიდ გამოცდილებას იძენენ მათგან, - გვითხრა ნინო ქავჭავაძემ.

შაბათ-კვირის ქრონიკა

პროექტ «ქართული ბრენდის დღის» ნომინაციაში წარმატებული ტელეპროექტის გამარჯვებული აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა ერთი დღე სოფელში გახდა, ასევე დაჯილდოვდა რადიო «აჭარა» ნომინაციაში «ისტორიული ბრენდი». პროექტის უცვლელი ნომინაციებია: ლიდერი, რეპუტაცია და ნდობა, წარმატებული ახალი ბრენდი, წარმატებული ტელეპროექტი და ბრენდ პერსონა. ღონისძიებაზე სიმბოლური პრიზები კომერციულ კომპანიებს, ორგანიზაციებს, საბავშვო სტუდიებს, ასევე, კონკრეტულ ადამიანებს გადასცეს. ორგანიზატორების განმარტებით, დაჯილდოება სხვადასხვა ორგანიზაციის წახალისებისა და მიმდინარე ეკონომიკური და კულტურული პროცესების პოპულარიზაციისთვის უკვე 20 წელია იმართება.

«ჩემი ოცნების კუნძული» - ასე ჰქვია ლიტერატურულ კომპოზიციას, რომელიც ილია ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმში ხაშურის მოზარდთა თეატრალურმა დასმა «აკაბრიუმში» წარმოადგინა. სპექტაკლი პოეტ ინგა გოგობერიძის წიგნის «თოვლის გამოდევლის» მიხედვით ეკატერინე ბაქრაძემ დადგა.

ზამთრის გასვლის შემდეგ მაღალმთიან აჭარაში რამდენიმე ოჯახის საცხოვრებელი საფრთხის შემცველი გახდა. გეოლოგებმა ადგილები შეისწავლეს და შესაბამისმა უწყებებმა მოქალაქეებს გასვლა და სახელმწიფო პროგრამით სარგებლობა შესთავაზეს - ასეთია ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამა ეკომიგრანტების საცხოვრისით უზრუნველყოფისთვის, რომელიც თანადაფინანსებას გულისხმობს და მისით სარგებლობას ოჯახები წელს, ისევე, როგორც აქამდე, შეძლებენ.

«ინკლუზიური ციფრული ტრანსფორმაცია, ტელეკომი და ციფრული წინსვლა» - კომუნიკაციების კომისიამ ციფრული ტრანსფორმაციის ფორუმზე რიგით მესამე შეხვედრას უმასპინძლა. სესიის ფარგლებში საქართველოში მედიაწინსვლის დონის ამაღლების, ციფრული პოტენციალის გაუმჯობესების, ასევე, ტელეკომ ბაზრის ხელშეწყობისა და სტარტაპ-ეკოსისტემის გამოწვევების შესახებ პანელურ დისკუსიებზე იმსჯელეს.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა სპორტული ფესტივალი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. აკადემიის სტუდენტები ერთმანეთს კალათბურთში, ფეხბურთში, ფრენბურთში, მკლავჭიშკლაში, ჭადრაკსა და მაგილის ჩოგბურთში ეჯიბრებოდნენ. ასპარეზობა გაიმართა, ასევე, ინტელექტუალური თამაშში - რა? სად? როდის? გამარჯვებულები მონაწილეობას საქართველოს სტუდენტურ სასპორტო ჩემპიონატებში მიიღებენ.

მომავალა ნაირა ფუტბარამი



კომისიის შექმნა, კანდიდატთა შერჩევა და წარდგენა პარლამენტის თავმჯდომარის პრეზიდიუმში

მოგვხსენებთ, ცესკოს თავმჯდომარის არჩევის პროცედურასთან დაკავშირებით „საარჩევნო კოდექსში“ შეტანილ ცვლილებებს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ვეტო დაადო. გუშინ საქართველოს პარლამენტმა პრეზიდენტის აღნიშნული ვეტო დაძლია



სალომე ზურაბიშვილის შენიშვნებს მხოლოდ 22-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, ხოლო თავდაპირველად მიღებულ ვერსიას 78 მომხრე და 14 მოწინააღმდეგე გამოუჩნდა.

პრეზიდენტმა კანონპროექტს ვეტო 26 ივნისს დაადო. წინა რედაქციით, „დამოუკიდებელი და ზეპარტიული თანამდებობის პირი, საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს კონკურსს და ქმნის [ცესკოს წევრების] კანდიდატთა შესარჩევ კომისიას, შერჩეულ კანდიდატებს კი პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს“.

ცვლილებების შემდეგ, კომისიის შექმნა, კანდიდატთა შერჩევა და წარდგენა პარლამენტის თავმჯდომარის პრეზიდიუმში შეემატა, არჩევა კი პარლამენტის უბრალო უმრავლესობით იქნება შესაძლებელი. პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებში ნათქვამი იყო, რომ ეს ერთპარტიული გადაწყვეტილებების მიღებას ნიშნავს.

ნებული გადაწყვეტილებების მიღების საჭიროებას და ზრდის პოლარიზაციის რისკს. „ვეტო სწორედ ამ კონსენსუსის შენარჩუნების მიზანს ემსახურება“, - წერია პრეზიდენტის აღმინისტრაციის განცხადებაში.

პრეზიდენტმა პარლამენტს შესთავაზა, ცესკოს თავმჯდომარე და წევრები აირჩიონ არანაკლებ 90 ხმით, როგორც ეს სახალხო დამცველის შემთხვევაში მოხდა. ცესკოს საკითხზე მომზადებული კანონპროექტი უარყოფითად შეაფასეს არასამთავრობო ორგანიზაციებაც. მათი განცხადებით, „ქართული ოცნების“ კანონპროექტი ცესკოს თავმჯდომარის შერჩევის წესის ცვლილებას

ბაზე უფრო მეტად შეამცირებს საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობას, გაზრდის მასზე მმართველი პარტიის გავლენას და „უკიდურესად დააკინებს“ პრეზიდენტის როლს კანდიდატების შერჩევის პროცესში.

ISFED-ში აცხადებდნენ, რომ ინიციატივა სრულიად ეწინააღმდეგება 2021 წლის 19 აპრილის პოლიტიკურ შეთანხმებას, ვენეციის კომისიის/ეუთო-ოდიორი რეკომენდაციებს და ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის წარდგენილი 12 პირობიდან ერთ-ერთს.

გასული წლის 5 აგვისტოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის

თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტს თამარ ალფაძისა და რევაზ ეგაძის კანდიდატურები წარუდგინა.

კანდიდატთა შორის იყო ცესკოს მოქმედი ხელმძღვანელი გიორგი კალანდარიშვილიც, თუმცა ის პრეზიდენტმა პარლამენტის წინაშე არ წარადგინა.

2022 წლის დეკემბრის ბოლოს პარლამენტმა ცესკოს თავმჯდომარე ვერ აირჩია, პრეზიდენტის წარდგენილმა ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო საკმარისი ხმების რაოდენობა. საქართველოს კანონმდებლობით, ცესკოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება გიორგი კალანდარიშვილმა განაგრძო.

უხსოვარი

საფრანგეთში მიმდინარე საპროტესტო აქციების გამო, პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა გერმანიაში ვიზიტი გადადო. მედიის ცნობით, მაკრონი გერმანიაში გამგზავრებასა და ქვეყნის კანცლერ ოლაფ შოლცთან შეხვედრას კვირას გეგმავდა. გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი აცხადებს, რომ ის საფრანგეთში არეულობას „შეფოთებით“ ადგენებს თვალს. როგორ შოლცი ამბობს, მას სჭერია, რომ მაკრონი შეძლებს სიტუაციის მართვას. „არ ველოდები, რომ საფრანგეთი არასტაბილური გახდება, თუნდაც იმ სურათიდან, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან შემაშფოთებელია“, - განაცხადა მან. საფრანგეთში დემონსტრაციების პოლიციელის მიერ 17 წლის ახალგაზრდის მკვლელობის გამო საშაბათს დაიწყო. მიტინგების მანძილზე პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის შეტაკებები არაერთხელ მოხდა. გასულ დღით მთელი ქვეყნის მასშტაბით 719 ადამიანი დააკავეს.

დონალდ ტრამპმა ჯოზეფ ბაიდენი დამნაშავედ მოიხსენია. მწვავე განცხადებები ამერიკის ყოფილმა პრეზიდენტმა სამხრეთ კაროლინაში, ამომრჩევლებთან შეხვედრისას გააკეთა. მოქმედ პრეზიდენტს ტრამპმა კორუმპირებული უწოდა, მისი ადმინისტრაცია კი მესამე მსოფლიო ომის პროვოცირებაში დაადანაშაულა.

პოლონეთი, არსებული დაძაბული სიტუაციის გამო, ბელარუსთან საზღვარზე 500 პოლიციელს გაგზავნის, - ამის შესახებ პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა მარიუს კამინსკიმ განაცხადა. „ბელარუსის საზღვარზე დაძაბული სიტუაციიდან გამომდინარე, გადაწყვიტე გავაძლიერო ჩვენი ძალები 500 პოლონელი პოლიციელით სათადარიგო და კონტრტერორისტული დანაყოფებიდან“, - დაწერა მინისტრმა „ტვიტერზე“. გასულ კვირას ვარშავამ გამოაცხადა, რომ „გაგნერის“ მებრძოლების ბელარუსში გადასვლის გამო უსაფრთხოების ზომების გამკაცრების გადაწყვეტილება მიიღო. „გაგნერის“ ბელარუსის ტერიტორიაზე ყოფნის გამო ნატოს წევრი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები შიშობენ, რომ ამან, შესაძლოა, რეგიონში უფრო მეტი არასტაბილურობა გამოიწვიოს.

ისრაელში საპროტესტო გამოსვლები გრძელდება. ბენიამინ ნეთანიაჟს მთავრობის მიერ ინიცირებული სასამართლო რეფორმა თელ-ავივის ცენტრში ათობით ათასმა ადამიანმა გააპროტესტა. აქციის მონაწილეებმა პრემიერის სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელყოფის მკვლელობაში დაადანაშაულეს. საპროტესტო გამოსვლები ისრაელში უკვე რამდენიმე თვეა გრძელდება. გასულ კვირას ბენიამინ ნეთანიაჟმა განაცხადა, რომ კანონპროექტიდან სადავო ელემენტების ამოღებას გეგმავს, თუმცა როგორც მისი ოპონენტები აცხადებენ, შესწორებების მიუხედავად, კანონპროექტი კორუფციისთვის დიდ სივრცეებს ტოვებს.

შეიარაღებული ფორმირება „გაგნერის“ ხელმძღვანელ ეგვინი პრიგოინის ამბოხთან დაკავშირებით რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ პირველი კომენტარი გააკეთა. „ეს გეგმები ჩავარდა პირველ რიგში იმის გამო, რომ შეიარაღებული ძალების პირადად შემადგენლობაში ფიცისა და სამხედრო ვალისადმი ერთგულება არჩენა. პროვოკაციას ქართული ენით ვხედავთ არ მოუხდენია. სამხედრო მოსამსახურეები აგრძელებდნენ მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულებას“, - აცხადებს შოიგუ.

უკრაინა

უკრაინაში ლომანის, ბახმუტის, ავდიივკისა და მარინკის მიმართულებით მძიმე ბრძოლები გრძელდება, რუსულ ძალებთან 39 საბრძოლო შეტაკება მოხდა, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ანგარიშშია აღნიშნული. უწყების ცნობით, რუსულმა ძალებმა, ბახმუტის მიმართულებით შეტევა დაიწყეს დონეცკის ოლქის მინკოვკისა და ბოგდანოვკის რაიონებში, მაგრამ უშედეგოდ. ამ მიმართულებით, რუსების საარტილერიო დაბომბვის შედეგად 10-ზე მეტი დასახლება დაზარალდა. „ავდიივკის მიმართულებით მტერმა წარუმატებელი შეტევა განახორციელა ქალაქ ავდიივკის მიდამოში. მარინკის მიმართულებით, ჩვენმა დამცველებმა მტრის ყველა შეტევა მოიგერიეს“, - აცხადებენ გენშტაბში. მათივე ინფორმაციით, ხერსონისა და ზაპოროჟიის მიმართულებებით, მტრის ძირითადი ძალების მხევა კონცენტრირებულია უკრაინის ჯარების წინსვლის აღკვეთაზე.



რის მოადგილე ანა მალიარმა განაცხადა. „ბერდიანსკის და მელიტოპოლის მიმართულებით მძიმე ბრძოლებით, მაგრამ თანდათან წინ მივიწვევთ. ჩვენს ჯარს ხვდება მტრის ძლიერი წინააღმდეგობა, დისტანციური დანადგარი, მაგრამ დაუინებებით და დაუფლადა ქმნის პირობებს სწრაფი წინსვლისთვის“, - განაცხადა მალიარმა. ამასთან, მისი თქმით, რუსული ძალები რამდენიმე მიმართულებით - ავდიივკის, ლომანისა და მარინკის მიმართულებებით უტყვევნი და წინ წავიდნენ სვატოვსკის მიმართულებით. „ჩვენს სხვა ბრძოლებში მიმდინარეობს. მტერი უტყვევს ბელოგოროვკას, სერებრიანკას. სიტუაცია საკმაოდ რთულია“, - განაცხადა მალიარმა.

მხარს უჭერს უკრაინის ნატოში გაწევრიანებას. ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ესპანეთის პრემიერ-მინისტრ პედრო სანჩესთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა. „ეს უკვე 21-ე ასეთი დოკუმენტია ალიანსის წევრებთან და ეს არის უმრავლესობა. ჩვენ ვილნიუსში, ალიანსის სამიტზე ესპანეთის მხარდაჭერის იმედი გვაქვს და უკრაინა დარწმუნებულია, რომ დღეს ყველა საფუძველი არსებობს უკრაინის ნატოში მისაწვევად“, - აღნიშნა ზელენსკიმ. ესპანეთისა და უკრაინის ლიდერების ერთობლივ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ესპანეთი მხარს უჭერს ნატოს პარტნიორობის გაძლიერებას უკრაინასთან, კერძოდ, ნატო-უკრაინის საბჭოს, როგორც მიმდინარე თანამშრომლობის შემდგომი გაძლიერებისა და გაფართოების პლატფორმის დაარსებას. „ესპანეთი კიდევ ერთხელ გამოხატავს თავის მხარდაჭერას ნატოს ღია კარის პოლიტიკის მიმართ, ნატოს 2022 წლის სტრატეგიული ხედვისა და ნატოს მადრიდის სამიტის დეკლარაციის შესაბამისად“, - ნათქვამია დოკუმენტში. 29 ივნისს უკრაინის პრეზიდენტის აპარატის უფროსის მოადგილემ, ზელენსკის დიპლომატიურმა მრჩეველმა იმპორტ უოკატმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი ვილნიუსში, ნატოს სამიტზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩავა, თუ უკრაინა დამაკმაყოფილებელ შედეგს მიიღებს.

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი, საზღვაო ძალების დღესთან დაკავშირებით, ოდესაში ჩავიდა. ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, პრეზიდენტმა ზელენსკიმ მოისმინა უკრაინის შეიარაღებული ძალების სამხედრო-საზღვაო ძალების მეთაურ ოლექსი ნეიჟაპას მოხსენება შავ ზღვაში ოპერატიული ვითარების, სამხედრო-საზღვაო ძალების თავდაცვითი შესაძლებლობებისა და განვითარების სტრატეგიის შესახებ ომის დროს და ომის შემდგომ პერიოდში. შეხვედრაზე, ასევე, განიხილეს საზღვაო დრონების პროგრამისა და სარაკეტო პროგრამის განვითარების შუალედური შედეგები და პერსპექტივები. „რუსეთში ბევრს ეგონა, რომ შავი ზღვა მათი ძალების აკვიატორიაა. მტერი იმედოვნებდა, რომ ჩვენი სამხედრო-საზღვაო ძალები ვერ გაუძლებდა რუსეთის დარტყმებს. ჩვენი მეომრების გამბედაობამ და ოსტატობამ განადგურა და ზღვაში ჩაახრჩო მტრის იმედები“, - განაცხადა ზელენსკიმ.

უკრაინის შეიარაღებული ძალების საჰაერო ძალების ინფორმაციით, ავდიივკის დროით 03:11 საათზე, შავი ზღვიდან „კალიბრის“ ტიპის ფრთოსანი რაკეტების გაშვება დაფიქსირდა. გარდა ამისა, უკრაინის რამდენიმე ოლქში უპილოტო საფრენი აპარატების თავდასხმის საფრთხე არსებობდა. საჰაერო განგაში გამოცხადდა ვინიცის, ხმელნიცის, ჩერკასის, კიროვოგრაძის, ოდესისა და ზაპოროჟიის ოლქებში. გავრცელებული ინფორმაციით, კიროვოგრაძის და ხმელნიცის ოლქებში აფეთქებების ხმები ისმოდა. საჰაერო ძალების ინფორმაციით, აღნიშნულ ოლქებში საჰაერო თავდაცვა მუშაობდა.

უკრაინის თავდაცვითი ძალები თანდათან მიიწვევენ წინ ბერდიანსკისა და მელიტოპოლის მიმართულებებით, აპაგდროულად, აღმოსავლეთში რუსები რამდენიმე მიმართულებით უტყვევენ, - ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის მინისტ-

ესპანეთი გახდა 21-ე ქვეყანა, რომელიც

მოამზადა ნაირა შუტაბაძემ

მოამზადა ია შველიძემ



თინათინ ბერიძის მისამე რომანი, რომელსაც რობზურთის სიყვარულით წერს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ქედას წარმატებული ქალები არ აკლია. ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა სფეროში, შემოქმედებით სარბიელზე მრავალმა მათგანმა მოიპოვა წარმატება. ასპარეზზე გამორჩენილი ახალგაზრდა მწერლები და პოეტები. ერთი მათგანია პროფესიით ეკონომისტი, სოფელ კოკოტაურის მკვიდრი თინათინ ბერიძე. იგი ჩვენი სტუმარია.



თქვენს ასაკში, შემოქმედებით ასპარეზზე ასეთი წარმატება არცერთ ქედელ ქალბატონს არ ჰქონია. როდის დაიწყეთ წერა?
- მიხარია, რომ მშობლიურ ქედას, თუნდაც ჩემს სამშობლოს, მრავალი წარმატებული ქალბატონი ჰყავს. რაც შემეხება მე, ბავშვობაში არ ვწერდი და შესაბამისად, არც მწერლობაზე მიოცნებია. ვისაც ჩემი რომანი წაუკითხავს, იცის, რომ იგი აგებულია სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ პოსტზე. ზუსტად მსგავსად, სოციალურ ქსელში ხუმრობით მეგობრებისთვის გამოქვეყნებულა.

დღეს, ტექნოლოგიების ეპოქაში, ძალიან მარტივია რაიმეზე აზრის გამოთქმა. შესაბამისად, ჩემთან ბევრი წერილი მოვიდა მკითხველისგან, მათ შორის, კრიტიკულიც.

ათი გამარჯვებული გაყავდა ჟიურის, ათი მკითხველს. მე ორივე ათეულში მოხვდი, ანუ ჟიურიმაც შემარჩია და მკითხველმაც. სწორედ კონკურსის ჟიური იყო ობიექტური შემფასებელი და ამ ფაქტმა თავდაჯერებულობა შემმატა

ნებული პოსტით დავიწყებ წერა, მერე გავაგზავნი ნაწერი კონკურსზე #გახდი ბესტსელერის ავტორი 2019“ და... გავხდი ერთ-ერთი გამარჯვებული. სრულიად დაუგეგმავად ვარ მწერალი, თუმცა „მწერალი“ ხმამაღალი ნათქვამი მგონია - უფრო ავტორს ვუწოდებ თავს.
- რატომ დაარქვით პირველ რომანს „მოპარული სიყვარული“?
- ვინ იყო პირველი რომანის ობიექტური შემფასებელი?
- პირველად მივუტანე მეგობრებს. კონკურსში სანამ გავიმარჯვებდი, გავედი ფინალში. ათი გამარჯვებული გაყავდა ჟიურის, ათი მკითხველს. მე ორივე ათეულში მოხვდი, ანუ ჟიურიმაც შემარჩია და მკითხველმაც. სწორედ კონკურსის ჟიური იყო ობიექტური შემფასებელი.

გამოდის, პირველმა ცდამ გაამართლა და მეორე რომანს ერთობ მორგებული სათაური - „მეორე შანსი“ შეურჩიეთ?
- ალბათ, გაამართლა, რადგან 2019 წლის დეკემბერში იყო წარდგინება და 2020 წლის ყველაზე გაყიდვადი წიგნი გახდა... „მეორე შანსი“ კი სიმბოლურია, რადგან წიგნის პერსონაჟისთვის იყო მეორე შანსი...
- უკვე მესამე რომანზე მუშაობთ. წინა ორის გაგრძელებაა თუ?
- მესამე რომანი იქნება რადიკალურად განსხვავებული და მას საერთო არაფერი ექნება წინა ორთან. ჯერ დამუშავების პროცესშია და ბევრს ვერაფერს ვიტყვი. იმის გარდა, რომ მთავარი მოქმედი პირი გოგონაა, რომელიც ჩოგბურთელობაზე ოცნებობს.
- მხატვრული ნაწარმოები კუთხური დიალექტითაა დაწერილი?
- მიყვარს აჭარული დიალექტი და საუბრისას ხშირად ვიყენებ. ისიც ვიცი, რომ წიგნში უმჯობესია დახვეწილი ლიტერატურული ენის გამოყენება. და მაინც, მეორე ნაწილში აჭარის სიყვარულით, მცირე დოზით, აჭარული დიალექტი გამოვიყენე. ვიცი, ეს ბევრს მოსწონს.

სიყვარულით და ახლაც მისი გავლენის ქვეშ ხართ?
- ერთ-ერთი პირველი წიგნი, რომელიც წავიკითხე, იყო „ტომ სოიერისა და ჰეკლბერის ფინის თავგადასავალი“ და მასხვს, ტომ სოიერზე შევფარებული ვიყავი. ფიქრებით რომ წარსულს ვუბრუნდები, ახლაც მათგანს ტომის სიცილეზე და გავლენაზე ვფიქრობ...
- რომელ უცხოელ მწერალთან შეხვედრას ისურვებდით?
- ასეთი ძალიან ბევრია. ქალ ავტორებთან ვასაუბრებ იქნებოდა ძალიან საინტერესო.
- რატომ გაქვთ საზოგადოებრივ ქსელში მინიშნებული „მარტოელობა“, როცა გყავთ დედამამიშვილები, მშობლები?
- სოციალურ ქსელში მითითებული მაქვს დედის, მამის, და-ძმის შესახებ ინფორმაცია. სტატუსი „მარტოელობა“ სხვა კონტექსტშია, ასევე, ვფიქრობ, ჩემი პირადი ცხოვრება არავისთვის არის საინტერესო.

რესურსცენტრში მუშაობა რამდენად შეესაბამება თქვენს შემოქმედებით ბათოსს?
- ვერ ვიტყვი, რომ შემოქმედებითი ადამიანი ვარ და ჩემი რომელიმე სამსახური რამენაირად მზღულავს და არ შეესაბამება ჩემს ბათოსს. მანამდე ვმუშაობდი ბანკში, სამოქალაქო რეესტრში... წერა გვიან დავიწყე და ერთადერთი, რაც შემეძლია გითხრა, ესაა: ვწერ მაშინ, როცა ამის განწყობა მაქვს, ადგილისა და დროის მიუხედავად.
- ეროვნული მეურნეობის რომელი სფეროში იმუშაებდით სიამოვნებით?
- სიამოვნებით ვიმუშაებდი ისეთ სამსახურში, სადაც მექნება შესაძლებლობა, მრავალ უცხოელს გავაცნო საქართველო, მისი წარსული, დღევანდელი, ჩვენი ეროვნული გამოხატვა...
- სპეციალობა მიმბაძვლობით აირჩიეთ თუ?
- არ მახსოვს, რატომ ავირჩიე სპეციალობად ჟინანსები და საბანკო საქმე“. არასდროს მიოცნებია ფინანსისტობაზე. მათემატიკა კარგად ვიცოდა... არც შეგმცდარვარ, რადგან 100 %-იანი გრანტი მოვიპოვე. ახლა რომ ვირჩევდი, სხვა პროფესიას ავირჩევდი, მაგრამ არასოდეს მინანია არჩევანი, რადგან იმ პერიოდში ჩემი ცხოვრებაში საუკეთესო მეგობრები დამიტოვა.
- სწავლა სიბერეში...
- სიამოვნებით ვისწავლიდი რომელიმე უცხო ენას, მაგალითად, იტალიურს. მაგრამ აქვე გამოვიტყუდებო - საკმაოდ ზარმაცია ვარ.
- ოჯახის შექმნაზე ფიქრის დროც დგება...
- ყველაფერზე ვფიქრობ თანმიმდევრულად.
- რას ურჩევთ იმ თანატოლებს, რომლებსაც არც ქვეყნისთვის და არც საკუთარი თავისთვის სარგებელი არ მოაქვთ?
- მე ნაკლებად გამოვდგები მრჩევლად, რადგან იყო პერიოდი, მეც რომ ვზარმაცობდი. ეს პერიოდი თავად უნდა დაძლიო, ალბათ. ერთადერთი რჩევაა, ბევრი წიგნი იკითხო. ასე ფანტაზია მრავალფეროვანი ექნება და წიგნის გამოცემისგანაც არანაკლებ „რჩევებს“ მიიღებენ.
- ამბობენ, რომ სპორტი გიყვართ.
- სპორტის თითქმის ყველა სახეობა მიყვარს, განსაკუთრებით ფეხბურთი, კალათბურთი, რაბი და... ჩოგბურთი. ჩოგბურთისადმი ჩემს სიყვარულს ეძღვნება სწორედ მესამე წიგნი, რომელსაც, სავარაუდოდ, ოქტომბერში წარვუდგენ მკითხველს.

სიამოვნებით ვიმუშაებდი ისეთ სამსახურში, სადაც მექნება შესაძლებლობა, მრავალ უცხოელს გავაცნო საქართველო, მისი წარსული, დღევანდელი, ჩვენი ეროვნული გამოხატვა...
- სპეციალობა მიმბაძვლობით აირჩიეთ თუ?
- არ მახსოვს, რატომ ავირჩიე სპეციალობად ჟინანსები და საბანკო საქმე“. არასდროს მიოცნებია ფინანსისტობაზე. მათემატიკა კარგად ვიცოდა... არც შეგმცდარვარ, რადგან 100 %-იანი გრანტი მოვიპოვე. ახლა რომ ვირჩევდი, სხვა პროფესიას ავირჩევდი, მაგრამ არასოდეს მინანია არჩევანი, რადგან იმ პერიოდში ჩემი ცხოვრებაში საუკეთესო მეგობრები დამიტოვა.
- სწავლა სიბერეში...
- სიამოვნებით ვისწავლიდი რომელიმე უცხო ენას, მაგალითად, იტალიურს. მაგრამ აქვე გამოვიტყუდებო - საკმაოდ ზარმაცია ვარ.
- ოჯახის შექმნაზე ფიქრის დროც დგება...
- ყველაფერზე ვფიქრობ თანმიმდევრულად.
- რას ურჩევთ იმ თანატოლებს, რომლებსაც არც ქვეყნისთვის და არც საკუთარი თავისთვის სარგებელი არ მოაქვთ?
- მე ნაკლებად გამოვდგები მრჩევლად, რადგან იყო პერიოდი, მეც რომ ვზარმაცობდი. ეს პერიოდი თავად უნდა დაძლიო, ალბათ. ერთადერთი რჩევაა, ბევრი წიგნი იკითხო. ასე ფანტაზია მრავალფეროვანი ექნება და წიგნის გამოცემისგანაც არანაკლებ „რჩევებს“ მიიღებენ.
- ამბობენ, რომ სპორტი გიყვართ.
- სპორტის თითქმის ყველა სახეობა მიყვარს, განსაკუთრებით ფეხბურთი, კალათბურთი, რაბი და... ჩოგბურთი. ჩოგბურთისადმი ჩემს სიყვარულს ეძღვნება სწორედ მესამე წიგნი, რომელსაც, სავარაუდოდ, ოქტომბერში წარვუდგენ მკითხველს.



მკითხველს, ვისაც წაკითხული არ აქვს რომანი, აღარ დავუკონკრეტებ, მაგრამ ვიტყვი, რომ წიგნში არსებობს ამაზე მინიშნება. თან აღმოჩნდა, რომ მარკეტინგულადაც საკმაოდ გაამართლა, რადგან ხალხმა აიტაცა, განსაკუთრებით, თინათინი და ამ ფაქტმა თავდაჯერებულობა შემმატა.
- კრიტიკა ან რეცენზია თუ დაიწერა?
- არ ვიცი, არსებობს თუ არა კონკრეტულად წიგნისთვის დაწერილი რეცენზია ან კრიტიკული წერილი, სავარაუდოდ - არა. მაგრამ

ბა, ადრე რესპუბლიკური დონის იყო. ქალბატონ ნანის 2012 წელს მიანიჭეს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება და სპორტის მთავარი მწვრთნელის ძიუდოსა და სამბოში ნანი კირკიტაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში 2007, 2008, 2009, 2010 წელს დაბადებულ გოგონებს შორის

ნანი კირკიტაძის სახელობის ტურნირი

ნანანა კირკიტაძე 598 24 94 97

საპარეზობა 12 წლით კატეგორიაში ჩატარდა და საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის 130-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა.
ნანი კირკიტაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი უკვე მეოთხე წელია ტარდება, ადრე რესპუბლიკური დონის იყო. ქალბატონ ნანის 2012 წელს მიანიჭეს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება და სპორტის მთავარი მწვრთნელის ძიუდოსა და სამბოში ნანი კირკიტაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში 2007, 2008, 2009, 2010 წელს დაბადებულ გოგონებს შორის

ბა, ადრე რესპუბლიკური დონის იყო. ქალბატონ ნანის 2012 წელს მიანიჭეს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება და სპორტის მთავარი მწვრთნელის ძიუდოსა და სამბოში ნანი კირკიტაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში 2007, 2008, 2009, 2010 წელს დაბადებულ გოგონებს შორის

ბა, ადრე რესპუბლიკური დონის იყო. ქალბატონ ნანის 2012 წელს მიანიჭეს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება და სპორტის მთავარი მწვრთნელის ძიუდოსა და სამბოში ნანი კირკიტაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში 2007, 2008, 2009, 2010 წელს დაბადებულ გოგონებს შორის





საქართველოს პარლამენტის ინფორმაციით...



საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ სამხარაძის ინიციატივით, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაზე მიღებულ რეზოლუციაში რუსულ ოკუპაციაზე ჩანაწერი დაემატა.

„30 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით კანადაში, ქ. ვანკუვერში, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიური სესია ტარდება. საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე და ეუ-

თოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი ნიკოლოზ სამხარაძე ასამბლეის დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული საკითხების კომიტეტს თავმჯდომარეობს, რომლის სხდომებიც 1-3 ივლისს გაიმართა.

კომიტეტმა ყოველწლიური ანგარიში განიხილა და მხარი დაუჭირა რეზოლუციას „რეგიონული უსაფრთხოების გაძლიერება დემოკრატიული და ინკლუზიური საზოგადოებების ხელშეწყობის გზით“.

სხდომაზე ნიკოლოზ სამხარაძემ წარადგინა ინიციატივა კომიტეტის რეზოლუციაში ჩაწერილიყო შემდეგი პუნქტი: „ასამბლეა გმობს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში - აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში გაუარესებულ ჰუმანიტარულ ვითარებას და ადამიანის უფლებების მდგომარეობას, რაც განპირობებულია ადგილზე მცხოვრები ადამიანების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევით, ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ სხვადასხვა ფორმის დისკრიმინაციით, ქართული კვლის წაშლით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე და მათი სახეცვლილებით ორივე ოკუპირებულ რეგიონში, რაც, თავის მხრივ, რუსეთის მიმდინარე ოკუპაციის და „რუსიფიკაციის“ პოლიტიკის უშუალო შედეგს წარმოადგენს. კომიტეტის წევრებმა რეზოლუციაში ამ პუნქტის დამატებას მხარი ერთხმად დაუჭირეს“, - აღნიშნულია გაავრცელებულ ინფორმაციაში.

ამირან ბურიელიძე

„ჯორჯიან ეარვეისი“... სანქცირებულია სიაში (!?)

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, უწყებაში დაბარებულ უკრაინის საქმეთა დროებით რწმუნებულთან შეხვედრაზე შეშფოთება გამოიხატა უკრაინის ხელისუფლების მიერ ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისის“ სანქცირებულია სიაში შეყვანის

გამო.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საქართველოში უკრაინის საელჩოს წარმომადგენელთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მიზანს უკრაინის ხელისუფლების მიერ ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისის“ სანქციების სიაში შეყვანის საკითხი წარ-

მოადგენდა. შეხვედრაზე გამოიხატა შეშფოთება აღნიშნული გადაწყვეტილების გამო, რომელიც, ქართული მხარის შეფასებით, საფუძველს მოკლებულია.

უკრაინულ მხარეს აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტებები ეთხოვა.

ქართული ავიაკომპანიის დასანქცირების გამო შეშფოთება ქ. კიევი საქართველოს ელჩმა დააფიქსირა“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ამირან ბურიელიძე

რას მოითხოვს ბარსია „კვარასბან“?

ცნობილ იტალიურ გამოცემა IL Mattino-ს ცნობით, „ნაპოლის“ ახალი მთავარი მწვრთნელი რუდი გარსია მომდევნო სეზონში გუნდის ლიდერად ხვრია კვარაცხელიას მოიხარებს - ფრანგი სპეციალისტი ელოდება, რომ „კვარა“ კიდევ უფრო უკეთესი გახდება.



ხვიას ხარისხის გაუმჯობესებას მოსთხოვს, რადგან ფრანგი თვლის, რომ ახალგაზრდა გარემარბი „ნა-



პოლის“ ლიდერი უნდა გახდეს“, - წერს გამოცემა.

ამირან ბურიელიძე

„ჩვენ სამყაროს ბენიოსებს ვუზრდით და არ გვაქვს მოდუნების უფლება“

მე-4 გვერდიდან

- ამ რთულ გზაზე რამდენად არიან მამები ჩართულნი და მეუღლეებს როგორ უდგანან გვერდში?
- ხშირად ვახსენებ დედას, თუმცა არასდროს მიხსენებია მამა. იშვიათად ნახავთ ცენტრის ფოიეში მომლოდინე მამას - ბავშვები ყოველთვის დედას დაჰყავთ თერაპიაზე. ასეთ დროს მშობლებს გადაწვენილებული აქვთ ფუნქციები, მამა - მუშაობს, შვილთან კი დედა არის, მაგრამ ეს არ არის კარგი, რადგან ბავშვის აღზრდასა და განვითარებაში ორივე მშობელი თანაბრად უნდა იყოს ჩართული. მამებს რომ შეეძლოთ გაიაზრონ, თუ რამ-

დენად რთული გზის გავლა უწევთ თავიანთ მეუღლეებს ყოველდღიურად... სამარშუტო ტაქსის ლოდინისას გაღიზიანებული ბავშვი, ვიღაცის დაჟინებული მზერით გაღიზიანებული შვილის დამშვიდებელი ისე, რომ დედა იმ ვიღაცას ისეთი არაფერი შეჰკადროს, „ნერვიულ ქალად“ შერაცხონ, წვიმა, ქარი, მზე და რომელიც ერთი ჩამოვთვალაო. ბებიებზე უფრო „დათვური სამსახური“ ძალიან დიდი ხელისშემშლელი ბარიერია ოჯახში. ბავშვმა ოლონდ არ იტიროს და ყველაფერს უსრულებენ ერთი თავის დაქნევით, მაშინ როდესაც სპეციალისტი და დედა კვირაობით მუშაობენ. ჩვენს ცენტრის მშობლებს მინდა ვუთხრა, რომ თქვენ, ყველანი ერთად და თი-

თოეული ცალ-ცალკე, ძალიან მუშაობით, თქვენ ყველაზე ძლიერი დედეები ხართ ამ სამყაროში, თქვენ სამყაროს პატარა გენიოსების მშობლები ხართ და არასოდეს დანებდეთ! ჩვენ სამყაროს გენიოსებს ვუზრდით და არ გვაქვს მოდუნების უფლება!

- **თქვენი პრაქტიკიდან გამომდინარე და დაკვირვებით, ჩვენს საზოგადოებას ამ დიაგნოზის მიმართ რამდენად აქვს მიმდებლობა?**

- საზოგადოებაც დიდ როლს თამაშობს მშობლების ემოციური ფონის გაუარესებაში. იმის გამო, რომ მისი შვილი „გაუზრდელოდ“ არ შერაცხოს მეზობელმა, ნათესავმა, ხშირად სახლში კეტავენ და არსად დაჰყავთ. ჩემი სამუშაო პრა-

ზაფხულის დაუვიწყარი დღეები - ახალ სივრცეში

ღელა ანანიძე 27 48 93

2023 წლის ზაფხულის დღეები ცხელი და შემოქმედებითად მრავალფეროვანი იქნება. დაუვიწყარი დღეების გასატარებლად ტექნიკური სამზადისი უკვე დაწყებულია. წელს მთავარი ლოკაცია „სთეიჯ 17“ იქნება. სწორედ აქ გაიმართება ბათუმის რიგით მე-16 შავი ზღვის ჯაზფესტივალი

პოპის, ჯაზის, კლასიკური და ელექტრონული მუსიკის მოყვარულები არაერთ საყვარელ და პოპულარულ ქართველ და უცხოელ შემსრულებელს, დიჯეებს და ჯგუფებს იხილავენ. ყველაზე ნიშანდობლივი ისაა, რომ წელს ეს ყველაფერი ამინდზე არ იქნება დამოკიდებული, რადგან ბათუმელ მსმენელს და ჩამოსულ სტუმარებს ახალი საკონცერტო და საღონისძიებო მულტიფუნქციური სივრცე დახვდება, სადაც ყველა პირობა იქნება შექმნილი.



სივრცე, რომელიც 6 ათასზე მეტ მსმენელს დაიტევს, „GTEM გრუპის“ კიდევ ერთი მსხვილი პროექტია საქართველოში, კერძოდ, ბათუმში. როგორც „GTEM“-ის ოპერატიული დირექტორი ქეთევან კვაჭაძე ამბობს, „სთეიჯ 17“ არის ახალი საკონცერტო სცენა და მულტიფუნქციური საღონისძიებო სივრცე, სადაც ბათუმელებისთვის და არა მარტო მათთვის, ზაფხულის განმავლობაში არაერთი საინტერესო საღამო გაიმართება.

მუსიკალურ განწყობასთან ერთად, მსმენლის შთაბეჭდილებებსა და კომფორტულ გარემოზე, კონკრეტულად კი ტექნიკურ და ინფრასტრუქტურულ საკითხებზე, ქართველ სპეციალისტებთან ერთად, მოწვეული უცხოელი სპეციალისტებიც ზრუნავენ. მაღალი დონის სერვისის უზრუნველყოფის უპრეცედენტო ინფრასტრუქტურული დაგეგმარება, ხმის და განათების თანამედროვე სისტემები, რომელზეც გამოცდილი საერთაშორისო გუნდი მუშაობს.

- „სთეიჯ-17“ ვიზიტიორებს ცოცხალი წარმოდგენის შეგრძნების სრულიად ახალ გამოცდილებას ჰპირდება: ნაგებობის არქიტექტურა ყველანაირი ამინდისთვის შესაფერის „ჰუკვან“ სივრცეებს მოიცავს - როგორც დასაჯდომ, ასევე - საცეკვაო კუთხეებს; კონსტრუქციის მთლიანი იატაკი სასცენო პოლიუმის მასალითაა აწყობილი, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს სცენასთან სიახლოვის შეგრძნებას, სადღესასწაულო განწყობას კი ვიზუალური ეფექტების ინოვაციური აპარატურა უზრუნველყოფს - ლაზერული შოუებით და უახლესი მონიტორების ბუნებრივი გამოსახულებებით. ხმის ინჟინერიის და განათების საერთაშორისო გუნდი გამოცდილია ისეთი მასშტაბის გარსკვლავების შოულებზე, როგორებიცაა თინა ტერნერი, ელტონ ჯონი, სტინგი, ჯენიფერ ლოპესი, შაკირა, Pink Martini, ანტონი რემოსი, ეროს რამაზოტი და სხვა, ასე რომ, ბათუმელი მსმენელი და აქ მოსული სტუმარი ნამდვილად შთაბეჭდავ სანახაობასთან ერთად, მაღალი დონის სერვისებს იხილავს, - ამბობს სამეთქარაქურჟი, ხმის და განათების სამსახურის ხელმძღვანელი.

სივრცის უპირატესობაა სტუმარმასპინძლობის სერვისიც. სერვისების მმართველი ვიზიტიორებს სიურპრიზებსაც ჰპირდება.

- „სთეიჯ-17“ სივრცეს მსმენელისთვის 15 ივლისს „თბილისი ოფენ ეარის“ გუნდთან თანამშრომლობით გახსნის და აგვისტოს ბოლომდე სხვადასხვა მუსიკალურ პროგრამას შესთავაზებს მსმენელს. მაქს კუბერი, ივან დორნი, „ლოკან სფიქსი“, „სალო, სტეფანე, ნიკაკო - ეს საზაფხულო მუსიკალური პროგრამის მცირე ჩამონათვალია, 28-30 ივლისს კი სივრცე რიგით მე-16 შავი ზღვის ჯაზფესტივალს უმასპინძლებს. გართობასთან ერთად, ბევრი სიახლე და სიურპრიზი ელოდება ჩვენს სტუმრებს, - თქვა აიქუთ ფოსთაქიმ, „სთეიჯ-17“-ის სერვისების მმართველმა.

„სთეიჯ 17“ მსმენელისთვის 15 ივლისიდან გაიხსნება და შავი ზღვის ჯაზფესტივალის გარდა, აგვისტოში მსმენელს სხვადასხვა მუსიკალურ პროგრამას შესთავაზებს.

ვისას, საზოგადოების კომენტარების მოსმენა და მათზე პასუხის გაცემა უწევს ყოველთვის ვურჩევ ჩემს მშობლებს, მაქსიმალურად შეეცადონ, არ ჩაერთონ მსგავს დებატებში. არასოდეს მოუსმინოთ სხვის აზრს, როცა საქმე თქვენი შვილების ქცევას ეხება. რთულია, მაგრამ უნდა შეძლოთ ობიექტის ისე დატოვება, რომ თქვენი შვილის თანდასწრებით არ მოვიხდეთ კონკრეტულ თემებზე საუბარი, ასევე რთულია, მაგრამ თქვენ ვალდებული ხართ, იყოთ ძლიერი და არ შეაფერხოთ თქვენი სვლა სხვების მიერ წამოსროლილი სიტყვის გამო. მიუხედავად ძალიან ბევრი სირთულისა და დაბრკოლებისა, ჩვენ მაინც წინ მივდივართ. მართალია, ხან კუს ნაბიჯებით და ხანაც სწრაფი სვლით, მაგრამ მთავარია, რომ მიზნისკენ მივიდეთ.

<p>მთავარი რედაქტორი</p> <p>მარიანა მითაიშვილი</p>	<p>გამომცემი რედაქტორი</p> <p>ირმა შერვაშიძე</p> <p>ლიტერატურული რედაქტორი</p> <p>ეთერ სომარიკი</p>	<p>რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.</p> <p>ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.</p> <p>რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.</p>	<p>გამომცემი - შპს</p> <p>«ბანკიი აპარა და ალპარიი»</p> <p>კოორდინირებული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»</p> <p>მის: ქ. თბილისი, ქ. ბაქდაშაძის ქ. №3</p>	<p>მისამართი: 6000, ბათუმი, ბრიგოვოლოვის ქ. №2</p> <p>ტელ: 27-13-31</p> <p>ინფო და აკაბადონდა</p> <p>გაზეთი აპარისი კომპ. ცენტრი</p> <p>დასაბუღავ ხელმოწერილია 3/07/23, 21 სთ.</p>	<p>დირექტორი</p> <p>გამუკა პერიკი</p>
--	---	---	---	--	---



ქართული ბრენდები და აჯილდოვანნი

მანანა კიბიშვილი 598 24 94 97

„ქართული ბრენდის დღე“ - ასე ეწოდება საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილის“ ინოვაციურ და აღიარებულ პროექტს, რომლის დამფუძნებელი გახლავთ ქალბატონი მანანა გვიგენი, თანადამფუძნებელი - ელგუჯა მარალია



პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ადგილობრივი ბრენდების შიდა და გარე ბაზარზე ფორმირება-პოპულარიზაციას, კომპანიების განსაღებო კონკურენციას, მეთოდებისა და ტექნოლოგიების დამკვიდრებას, ეთიკური ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებას, კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის სტიმულირებას, საქართველოს ბიზნესში მიმდინარე პოზიტიური პროცესების მხარდაჭერას და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას.

სხვადასხვა ნომინაციაზე წარდგენილ და უკვე გამარჯვებულ ბრენდებს ყოველწლიურად საზეიმო ვითარებაში აჯილდოვებენ. დაჯილდოების საზეიმო ცერემონია წელს პირველად ბათუმში, სასტუმრო „შერატონში“ გაიმართა. საღამო ტელეწამყვან ნატა ნიჟარაძეს მიჰყავდა.

„ქართული ბრენდის დღე“ რომ პოპულარული პროექტია, ამას აღსატყობს მასში მონაწილე კომპანიების, მხარდაჭერების, სპონსორების,

რების, საზოგადოებრივი აზრის ლიდერების რაოდენობაც. მას მედიაშიც დადებითი გამოხატულება აქვს.

აღნიშნულ პროექტს 2003 წელს ჩაეყარა საფუძველი, მაშინ, როცა ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში იყო. პირველი ღონისძიება სალონური ტიპის გახლდათ და მასში მხოლოდ ღვინის მწარმოებელი კომპანიები მონაწილეობდნენ.

უკვე 20 წელია, „ქართული

ბრენდის დღე“ მასპინძლობს წარმატებულ ნაციონალურ ბრენდებს, რომლებსაც ყოველწლიურად სპეციალური კომისია ავლენს.

პროექტს სხვადასხვა ნომინაციაში ჰყავს გამარჯვებული, თუმცა უცვლელი ნომინაციაა: ლიდერი, რეპუტაცია და ნდობა, წარმატებული ახალი ბრენდი, წარმატებული ტელეპროექტი და ბრენდ პერსონა. დაჯილდოებულთა სიაც წარმომადგენლობითი იყო, და არა მხოლოდ

აჭარიდან... ზოგიერთს დავასახელებთ: ვერცხლის სპონსორი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელი“, ფარმაცევტული კომპანია „სპს“, მინერალური წყალი „კოკოტაური“, კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი „ლამის სერენადები“ (დამფუძნებელი - ლიანა ისაკაძე, სამხატვრო ხელმძღვანელი - გიორგი ისაკაძე, დირექტორი - ნინა ცაგარელი), დასავლენებული კომპლექსი „შატო კვირიკე“, საკონდიტრო „დონა“, ხელოვნების სტუდია „ლიმპოპო“ (სამხატვრო ხელმძღვანელი - ლილია ალექსანდროვა, დამფუძნებელი - თამაზ ნიკოლაიშვილი). ნომინაციაში „ისტორიული ბრენდი“ დაჯილდოვდა რადიო „აჭარა“ (დავით ტრაპაიძე), ხოლო აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „ერთი დღე სოფელში“ (ავტორი - ნათია თავდგირიძე) წარმატებული ტელეპროექტის გამარჯვებულია.

ბოლოს დასახელებს ბრენდ პერსონა, რომელიც წელს ჩვენი უსაყვარლესი პოეტი ვახტანგ ლლონტი გახდა.

ეს ღონისძიება აჭარაში პირველად ჩავატარეთ. ძალიან მოუხდა ბათუმს ეროვნული ბრენდის დღესასწაული. ყველა ნომინანტს ვულოცავ გამარჯვებას, მათგან განსაკუთრებით გამოვყოფ ვერცხლის სპონსორ „ბერმელს“, რომელსაც ამ პოეტის წარმატებით ჩატარებაში ლომის წილი უდევს. ჩემი აღმოჩენა საოცარი გემოვნური თვისებებ-

ით დაჯილდოებული მინერალური წყალი „კოკოტაური“. მინდა, აჭარის საჯარო ობიექტებში რაც შეიძლება მეტი შეიტანონ ეს საოცარი წყალი და ჰყავდეს მომხმარებელი. ის მართლაც „უკვდავების წყაროა“, როგორც თურმე მას მე-17 საუკუნიდან უწოდებენ, - გვითხრა მანანა გვიგენი.

ძალიან სასიამოვნოა, რომ ამ ღონისძიებას ჩემმა უსაყვარლესმა ქალაქმა უმასპინძლა, სადაც მე-15 სათუთილო „ლამის სერენადები“ გაიმართება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია „ქართული ბრენდის დღე“, რადგან ის სახალხო ღონისძიებაა, რომელიც დამწყებს თუ უკვე დამკვიდრებულ ქართულ ბრენდებს გამოავლენს და აჯილდოვებს. როცა პატივს მოგაგებენ და აღიარებენ შენს მოკრძალებულ წვლილს, ეს შემდგომი საქმიანობისთვის ერთგვარი სტიმულია. მიხარია, რომ წარმატებულთა შორის ჩვენც დავსახელებს. მიმდინარე წელი საიუბილეოა და უფრო ფართო მასშტაბით ჩავატარებთ. მაღლობა აღიარებისთვის ქალბატონ მანანას, - აღნიშნა ნინა ცაგარელი.

საღამო დამშვენეს ბათუმის საბავშვო სტუდია „ხასტი-ბუბუ“ და მომღერალმა სოფო ხალვაშმა, ვოკალურმა ანსამბლმა „ბათუმმა“, სამეჯლისო ცეკვების ჯგუფ „ლას ვეგასის“ მოცეკვავეებმა.

ბოლოს შეგვხვდნენ საიუბილეო ტორტიც დააგემოვნეს.

100 წლის ხელოვანს მოაფიქნენ

ოთარ ცინაიძე 599 85 21 14

ხულოს სახელმწიფო პროფესიული თეატრის სცენას მრავალი ღონისძიება ახსოვს, მაგრამ ის დღე გამორჩეული იყო - საზოგადოებრივ დაბადებულ 100 წლის იუბილე სივრცეშივე მიულოცა საუკუნის თანატოლ ხელოვანს, ანსამბლ „ბერმუხას“ უცვლელ წევრ მუხამედ ირემიძეს. ღონისძიების წამყვანებმა - პოეტმა ნანა შაინიძემ და ხულოს თეატრის მსახიობმა ნინო ქარცივაძემ იუბილარი სცენაზე ხელკავით შემოიყვანეს. იუბილარს ხალხით გადაჭედული დარბაზი ფეხზე წამოუდგა. მათ შორის იყვნენ ეთერ დეკანაძე, ავთანდილ ბოლქვაძე და ჯუმბერ აბაშიძე, რომლებსაც ლომის წილი უდევთ ქვეყანაში ერთ-ერთ პირველ უხუცესთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ბერმუხას“ ჩამოყალიბებასა და მისთვის გზის გაკვალვაში.

„ბერმუხამ“ პირველივე დღეებიდან მაყურებლის უდიდესი სიყვარული დაიმსახურა, მი-

ხულოს კულტურის ცენტრის დირექციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობის დამსახურებაცაა. უხუცესები „განდაგანას“ და „ხორუმის“ თვითნაბად იღებდნენ და დღემდე ჩვეული რიტმითა და ოსტატობით ასრულებენ, სცენაზე აცოცხლებენ წარსულსა და დღევანდლობას, „ბერმუხალების“ სიმტიცე და ამტანობა, კეთილშობილება ჩაქსოვილი ქართულ ცეკვებში, რომელიც ისეთივე ხანდაზმულია, როგორც ჩვენი ერის ისტორია. არსებობის 4 ათეული წლის განმავლობაში ამ ანსამბლის წევრებმა თავიანთი ხელოვნება მსოფლიოს ისეთი ქვეყნების სცენაზე გაიტანეს, როგორებიცაა პოლონეთი, ბულგარეთი, რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ესტონეთი, თურქეთი, უზბეკეთი, მოლდოვა, სომხეთი. ყველა გასტროლის მონაწილე იყო მუხამედ ირემიძე.

იგი 1923 წლის 1 ივლისს დაიბადა ხულოს რაიონის სოფელ ირემიძეებში. მან წინაპრების

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძის ინიციატივით, მუხამედ ირემიძეს ტბელ აბუსერისძის უმაღლესი ჯილდო გადაეცა. ინფორმაცია ამის შესახებ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიახ ხაჯიშვილმა იუბილეს მილოცვისას გაახმოვანა.

მუხამედ ირემიძის ოსტატობამ შეკვეთილში „ბლექსი არენაზე“ გამოსვლისას ოლიგო სულისებრიდან გამოვიდა და მასთან ერთად იცეკვა. მუხამედისა და ანსამბლის სხვა წევრების ოსტატობით მოხიბლენ სახელოვანი მწერლები გურამ ფანჯიკიძე, მორის ფოცხიშვილი, ირაკლი აბაშიძე, რეჟისორები რეზო და თემურ ჩხეიძეები, მსახიობი ლია ელიავა, როცა ხულოს სტუმრობდნენ.

იუბილარს მიესალმა ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, რომელმაც ადგილობრივი თვითმმართველობის სახელით მას მადლობის სიგელი და სამხსოვრო საჩუქარი გადასცა. 1000 ლარის ვაუჩერი გადასცა უხუცესს აჭარის განმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მადგილე ზურაბ თენგიშვილმა.

დამსწრე საზოგადოებისა და იუბილარისთვისაც სიურპრიზი იყო, როცა სცენაზე უხუცესი პედაგოგი დავით დავითაძე ავიდა - 101 წლის ადამიანი 100 წლის ხელოვანს მოეფერა.

სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ და იუბილარს სამხსოვრო საჩუქრებს გადასცემდნენ პარლამენტარი ანზორ ბოლქვაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატი ფრიდონ ფუტყარაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე, სახალხო მთქმელი ალიოშა გორგილაძე, პოეტები თამარ ხოზრევანიძე, გულიკო გაბაიძე, რომელმაც უხუცესს მის მიერ შეკერილი ყაბალახი შემოახვია, ხულოს კულტურის ცენტრის დირექტორი ჯუმბერ აბაშიძე, მუხამედ ირემიძის შვილიშვილი მიახ ირემიძე.

ლორჯომის საინიციატივო ჯგუფმა წელს «საპატიო ღირსი» წოდება დააწესა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს ეს წოდება ხულოს მუნიციპალიტეტის მერს, ამ ხეობის მკვიდრ ვახტანგ ბერიძეს მიენიჭა. საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა ბეჟან გორგაძემ «საპატიო ღირსი» დიპლომი აძე-



რად მუხამედ ირემიძეს გადასცა.

საიუბილეო საღამოზე კიდევ ერთხელ ისაუბრეს იმ დიდ წვლილზე, რაც „ბერმუხას“ დაარსებასა და შემდგომ წინსვლაში ეთერ დეკანაძეს, თამაზ ტუნაძეს, ავთანდილ ბოლქვაძეს, გალინა რიჟვაძეს, ნოდარ საგინაძეს მიუძღვით.

დამსახურებულმა პედაგოგმა, «საპატიო ხულოელმა» ეთერ დეკანაძემ, ხულოს კულტურის ცენტრის შემოქმედებითი ჯგუფის განყოფილების გამგე ავთანდილ ბოლქვაძემ, პოეტმა მზია თავართქილაძემ ანსამბლის განვლილი გზა შეახსენეს დამსწრეთ.

ბაბუსის ილეთები გამოიტანეს სცენაზე მუხამედ ირემიძის შვილიშვილებმა.

იუბილარს რამდენიმე ნომერი მიუძღვნეს „ბერმუხას“, «არგენტის» მოცეკვავეებმა, განახლებული რეპერტუარით მიესალმნენ ხულოს კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლ „ხულოს“ წევრები, მომღერალი მანანა მელაძე, პოეტი ნანა შაინიძე.

აჭარის მამულიშვილთა კავშირის წევრებმა, მწერალმა აკაკი მახარაძემ, ჟურნალ «ნატივობის» რედაქტორმა ნანა მომცემიძემ, ნიაზ ცივაძემ, ბიკო ბოლქვაძემ, პოეტმა ნაზი აბაშიძემ მუხამედ ირემიძეს, როგორც უხუცესს და დამსახურებულ ხელოვანს, პატივების სიგელი გადასცეს.

საუკუნის განმავლობაში მრავალი რამ გამოვიარე და გადავიტანე. მასოვს მეორე მსოფლიო ომის მრისხანე წლები, შემდგომი ცვლილებები. მრავლის მომსწრესა და მსახველს ეს დღეს თუ დამიდგებოდა, ვერ წარმოვიდგენდი. ადამიანები თუ ერთმანეთს არ დავაფასებთ, დავივიწყებთ, ამ წუთისოფელში მოსვლას რა აზრი აქვს. ცრემლებს ვერ ვიკავებდი, როცა საყვარელი „ბერმუხას“ წევრები დამწყებული და შვილიშვილით დამთავრებული, ყველა მეფერებოდა. ამდღევანელი, დაუფიქარი იყო დავით დავითაძის სცენაზე გამოვლა. ყველას ვუსურვებ, ასეთ მნიშვნელოვან დღეს მიესწროს ცხოვრებაში. - გვითხრა მუხამედ ირემიძემ.



ლწული წარმატებებით კი დიდი ისტორია დაწერა, რომელიც კარგადაა წარმოჩენილი ბაკურ ბაკურაძის მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმ „ბერმუხაში“. 1982 წელს დაარსებულ ანსამბლს დღემდე შემორჩენენ საუკუნის თანატოლი მუხამედ ირემიძე, 90 წელს მიტანებული იავარ ირემიძე და 90 წლის ეუბ მეგლაძე, 85 წლის იოსებ მეგლაძე, 84 წლის ოთარ კახაძე, 80 წლისანი - შოთა შავაძე და ვაჟა ფასანიძე. თაობათა ცვლის პროცესს ანსამბლმა კარგად გაუძლო, რაც მისი სამხატვრო ხელმძღვანელის რევაზ აბულაძის,

აღათ-წესები ცეკვასა და სიმღერაში გააგრძელა. ბავშვობიდან დღას სცენაზე. 18 წლისამ ოჯახი შექმნა, ვაზარდა 6 შვილი, მოესწრო 17 შვილიშვილს, 27 შვილთაშვილს და 5 შვილთაშვილის შვილს. სამეზის საკავშირო ფესტივალების ლაურეატი, დაჯილდოებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით, მიღებული აქვს ტრადიციული ხალხური ცეკვის ეროვნული პრემია. იგი ფოლკლორული ფესტივალების მონაწილეა, მათ შორისაა «პიტა-ბათუმი 2015», «არტგენი», «ფაზისი»...